

პრეზენტაციის სპეციფიკა 1-ელ - მე-4 კლასებში

ზინაიდა (ზოია) ტულუმი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი,

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია თანამედროვე სწავლებაში დამკვიდრებული მეთოდის - პრეზენტაციის გამოყენების პრიორიტეტები სწავლების საწყის საფეხურზე - 1-ელ - 4-კლასებში.

კვლევა ეფუძვნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ნიგვზიანის საჯარო სკოლის (არჩეულის სექტორის) 1-ელ, მე-2, მე-3, მე-4 კლასელთა მიერ მიღწეულ წარმატებათა მაჩვენებელთა ანალიზს. განხილულია ზეპირი და წერიტი პრეზენტაციების სპეციფიკა კლასების მიხედვით.

მოწოდებულია ცნობები კვლევის მიმდინარეობის შესახებ. შემუშავებულია სააზროვნო უნართა განვითარების კრიტერიუმები და ნაჩვენებია ექსპერიმენტების შედეგები.

ჩამოყალიბებულია დასკვნა აპრობირებული მეთოდის პოზიტიური შედეგების შესახებ. მოწოდებულია მისი პრაქტიკული დანერგვის მიზანშეწონილობა სწავლების პირველ საფეხურზე (1-ელ - მე-4 კლასებში).

1. ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე სწავლების ერთ-ერთი საინტერესო აქტივობა - პრეზენტაცია.
2. ექსპერიმენტი მიმდინარეობდა ნიგვზიანის საჯარო სკოლის (არჩეულის სექტორის) მოსწავლეებთან 3 წლის განმავლობაში.
3. კვლევის მიმდინარეობა შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:
 - საკვლევი - დაწყებითი: 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 კლასე-ბი.
 - ყველა მოსწავლეს ვაკვირდებით სააზროვნო უნარ-თა განვითარების მხრივ.
 - მოსწავლეებს ვაჯგუფებთ მიღწეულ წარმატებათა ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით (1-ლი -მო-წინავეები, მე-2 -საშუალო მოსწრების , მე-3 - დაბალი მოსწრების).
 - ვეძიებთ თითოეული პირობითი ჯგუფის წარმატება-წარუმატებლობის მიზეზებს.
 - ვისმენტ სხვა საგნების პედაგოგთა აზრს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ.
 - ვაკვირდებით, რამდენად გაუმჯობესდა მოსწავლე-თა სააზროვნო უნარები კვლევამდელი პერიოდის შესაბამისი ასაკის მოსწავლეების უნარებთან შედარებით.

4. შემუშავებული გვაქვს სააზროვნო უნართა განვითარების შეფასების ერთგვარი კრიტერიუმები:
- დამოუკიდებელი თხრობისა და მარტივი შეფასების უნარი.
 - შესწავლილი თემის, გაკვეთილის გარშემო საკუთარი აზრის გამოხატვის უნარი.
 - შესწავლილ მასალებს შორის პარალელის გავლები-სას მსგავსება-განსხვავების ძიებისა და პოვნის უნარი
5. ექსპერიმენტი წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს თუ წინარე წლების სწავლებასთან შედარებით შედეგი გაუმჯობესებულია სააზროვნო უნართა განვითარების მხრივ.
6. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ მოსწავლეთა სააზროვნო უნარების განვითარება გაცილებით ხელშესახებია, როცა შესწავლილი თემის გარშემო კლასში ხშირად ეწყობა პრეზენტაციები. თანმიმდევრულად მეორდება ტექსტისადმი მიმართება შემდეგი საკითხის წარდგენით:
1. სათაურსა და ავტორზე ყურადღება.
 2. ლიტერატურული ტექსტის თანმიმდევრული თხრობა.
 3. გეგმის გადმოცემა.
 4. მოკლე შინაარსის თხრობა.
 5. ლიტერატურული ტექსტის მარტივი ანალიზი.
 6. პერსონაჟების დახასიათება.
 7. თხზულების გაგრძელების მცდელობა.
 8. პარალელის გავლება შესაბამის შესწავლილ მასალასთან.
 9. ახალი სიტყვების ახსნა.
 10. მოცემულ ტექსტში გრამატიკულ საკითხებზე დაკვირვება.

1-ელ კლასში ვიყენებთ პრეზენტაციის უმარტივეს ფორმას მას შემდეგ, რაც მოსწავლეები საანბანო პე-იოდს დაასრულებენ, მოსწავლეთა ნაწილი თხრობითაც გადმოცემს მოკლე ტექსტს.

პრეზენტაციისთვის შეირჩევა შემდეგი საკითხები:

1. სათაურზე ყურადღება.
2. კითხვა-პასუხი,
3. მოთხრობების/ზღაპრის პერსონაჟის მარტივად შეფასება
4. ილუსტრაციის აღწერა.

მე-2 კლასელებისთვის შეირჩევა შემდეგი საკითხები:

1. ავტორი და თხზულების სათაური;
2. კითხვა-პასუხი;
3. როგორ ვადგენთ გეგმას;
4. თხზულების მოკლე შინაარსი;
5. პერსონაჟების საქციელის შეფასება.

მე-3 კლასელები საპრეზენტაციოდ ამზადებენ შემდეგ საკითხებს:

1. მცირე ცნობები ავტორის შესახებ.
2. შინაარსის თანმიმდევრული გადმოცემა.
3. ნაწარმოების გეგმა.
4. პერსონაჟების საქციელის შეფასება.
5. მოკლე შინაარსის გადმოცემა.
6. თხზულების გაგრძელება.
7. პარალელის გავლება შესწავლილ მასალასთან.
8. ახალი სიტყვები.

ზეპირი პრეზენტაციის პარალელურად მე-3 კლასში მი-ზანშეწონილად მიგვაჩნია წერიტი პრეზენტაციის გამარ-თვაც, რასაც შემაჯამებელი მეცადინეობისას მივმართავთ. თითოეული საკითხი მცირე ბარათებზე სრულდება პრე-ზენტაციის გეგმის მიხედვით. ფურცლები იდება მოზრდილ ბარათში, რომელსაც ფერად დიდ ბარათში ვდებთ და კედელზე ვაკრავთ. დაინტერესებულ ადამიანს (მშობელს, მოსწავლეს) შეუძლია გაეცნოს მესამეკლასელ-თა ნამუშევრების ავ-კარგს.

მე-4 კლასში კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი ხდება პრეზენტაციის დანერგვა, რადგან მეტი სიღრმისეულია გაკვეთილის მიზნები, ამოცანები, გვაქვს გამოყენებულ აქტივობათა მრავალფეროვანი სპექტრი. პრეზენტაცია მეოთხეკლასელებისთვის მოიცავს არა ერთ-თი გაკვეთილის გარშემო შემუშავებულ საკითხთა ერთ-ბლიობის წარდგენას, არამედ რამდენიმე გაკვეთილის ერთ თემაში მოქცევის შესაძლებლობასაც იძლევა. მე-4 კლასში უფრო ინტენსიურად გამოიყენება წერიტი პრე-ზენტაციები.

მეოთხეკლასელთა ნამუშევრები, შეიძლება ითქვას არსებითად პროექტებია, რომელთა მომზადებისთვის მრავალფეროვანი რესურსებია საჭირო, შესაბამისად, მეტი დრო და ენერჯიაც, სამაგიეროდ, შედეგი მეტად თვალსაჩინოა.

ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ სააზროვნო უნართა გან-ვითარების დინამიკა გაცილებით ხელშესახებია პრეზენტაციის თანმიმდევრული გამოყენებისას, რაც მოსწავლე-ებს უღვივებთ ინტერესს შესასწავლი თემის ირგვლივ, უმაღლებთ მოტივაციას, უქმნით ცოდნის მობილიზების უკეთეს პირობებს, უყალიბებთ დამოუკიდებელი აზროვნებისა და მსჯელობის უნარებს.

კვლევა წარმოადგენს პრაქტიკული დაკვირვების ანა-ლიზს და იძლევა გამოცდილების გაზიარების შესაძლებ-ლობას. აპრობირებული აქტივობა წარმატებით შეიძლე-ბა გამოყენებული იქნას სწავლების საწყის საფეხურზევე (1-ელ მე-4 კლასებში).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქ.თოფაძე, დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლება, სწავლა და შეფასება, თბ., 2011.
2. თ. ბუწაშვილი, ნიჭიერი ბავშვები, წიგნი: „სწავლა და შეფასება“. თბ., 2011.
3. მოსწავლეთა წერიტი საპრეზენტაციო ნამუშევრები, შესრულებული ნიგვზიანის საჯარო სკოლის (არჩეუ-ლის სექტორის) მე-3, მე-4 კლასელების მიერ, 2017 -2018 ს.წ.